



0112, საქართველო, თბილისი, დ. აგმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4943
01/09/2022

4943-21-2-202209011610



მოქალაქე ქალბატონ მირანდა თეთრამძეს
მეილი: xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx@xxxxxx.xx
მის: თბილისი, თ. ბოჭორიშვილის 20
პ/ნ:01017047251

ქალბატონო მირანდა,

თქვენი 2022 წლის 16 აგვისტოს **N 4101** წერილის პასუხად, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი დღეის მდგომარეობით ხორციელდება საქართველოში შვიდი ავტომატური სადგურის საშუალებით ხორციელდება, რომელთა განთავსების ადგილებია: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. 105; ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. ვ.გოძიაშვილის სახელობის განახლებული პარკი; ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 73ა, "ილიას ბაღი"; ქ.რუსთავი, ბათუმის ქ. 19; ქ.ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. 98 და ქ.ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა N1.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატურ სადგურებზე განისაზღვრება შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10, PM2,5), აზოტის ოქსიდები (NO, NOx, NO2), გოგირდის დიოქსიდი (SO2), ნახშირჟანგი (CO) და ოზონი (O3).

ასევე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით 2015 წლიდან საქართველოს 25 ქალაქში(თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ფოთი, სამტრედია, ხაშური, სენაკი, ოზურგეთი, კასპი, მცხეთა, ჭიათურა, ლანჩხუთი, საჩხერე, ტყიბული, ლენტეხი, მარნეული, ბოლნისი, სიღნაღი ყაზბეგი) ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი) ატარებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორულ გაზომვებს, ბენზოლის, აზოტის დიოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციების განსასაზღვრად.

ამ დროისთვის არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემების ნახვა შესაძლებელია ჰაერის ხარისხის პორტალზე <http://air.gov.ge/>. ანგარიშების გვერდზე სასურველი თვის მითითებით შესაძლებელია სადგურების მონაცემთა ჩამოტვირთვა. ამასთანავე,

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს საინფორმაციო წელიწადეულებსა „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწადეული“ და ბიულეტენებს "მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ", რომელშიც შეგიძლიათ იხილოთ მონაცემები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ თვეებისა და ქალაქების მიხედვით (<http://nea.gov.ge>).

პატივიცემით,

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

